ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 290

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 16 ოქტომბერი, 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „ჰიუნდაი ავტო საქართველო" წარმოდგენილი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მესამე პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,შემსყიდველმა" მოლაპარაკების საფუძველზე „მიმწოდებლისგან" მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით - 50112000 - მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება - გათვალისწინებული მომსახურების, საერთო თანხით 1000 (ერთი ათასი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით (შემდგომში - ,,ხელშეკრულების ღირებულება").

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, არაუგვიანეს 2020 წლის 31 იანვრისა.
5. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი №1 - ფასების ცხრილი, რაც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. ხელშეკრულება შედგენილია 7 გვერდზე, 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84 ტელ: (995 32) 2 25 84 84 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 სახაზინო კოდი: 707767126 ს/კ 204852089	შპს „ჰიუნდაი ავტო საქართველო" მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ მიმღები ბანკი: ს.ს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი: 220101830; ა/ა GE96TB0600000360200182 ს/კ 204478948

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მუმლაძე

დირექტორი
დავით გიორგობიანი

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღიარებულ სტანდარტებს და ნორმებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ინსპექტირების გზით განახორციელებენ ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი იოსებ დურგლიშვილი და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის, სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი დავით გველესიანი;

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა შეტყობინებიდან (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი) 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, თუ დაზიანება რთული კატეგორიისა და/ან საჭიროებს სათადარიგო ნაწილების შეკვეთას, მხარეები დამატებით თანხმდებიან ვადებზე.

3.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 ,,მიმწოდებლის" მიერ სხვადასხვა სახის ტექნიკურ მომსახურება, განხორციელდება ბიუროს კუთვნილ HYUNDAI GENESIS (სახ. ნომერი WO - 080 - WO; ვინ. კოდი KMHGC41KBDU235037) მოდელის ავტომანქანაზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 შემსყიდველის მოთხოვნით, მიმწოდებელი უსასყიდლოდ მოახდენს წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალების დიაგნოსტიკას, რის საფუძველზეც შედგება შესაბამისი დეფექტური აქტი - ჩასატარებელი სამუშაოების განფასება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა, მათი ღირებულება, აგრეთვე მომსახურების დაწყებისა და დასრულების ვადები. ამასთან, მომსახურების დაწყების ვადად განისაზღვრება ავტომობილის მიმწოდებლის სერვის ცენტრში წარდგენის დღე;

4.3 დეფექტური აქტის ორმხრივი ხელმოწერის შემდგომ, შემსყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მიმწოდებელი მოახდენს დეფექტურ აქტში მითითებული მომსახურების გაწევას, რაზედაც შედგენილ იქნება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი;

4.4 იმ შემთხვევაში თუ ხარვეზის ან/და ნაკლის გამოსწორება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 მუხლის საფუძველზე და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების

ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი მიწოდებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ. გაწეული მომსახურების მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს ლოჯისტიკის სამმართველო.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის მომსახურება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს;

6.2 გამოცვლილ ნაწილებზე საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვეს, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში ან მის შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრა, წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტით დადგენილ ვადაში;

6.3 მიმწოდებელი თავისუფლდება 3.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ხარვეზის წარმოქმნა გამოწვეული იქნება შემსყიდველის მიზეზით.

6.4 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულების 6.2 პუნქტში გათვალისწინებული საგარანტიო ვადის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ანგარიშსწორების ვალუტა

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.

9. ფასები

9.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ტარიფები განისაზღვრება დანართი N1-ის შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულების დადების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში 3.2 და 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებილების 0,15%-ის ოდენობით, რომლის დაქვითვაც მოხდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან;

12.2 საგარანტიო ვადის პერიოდში წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,15%-ის ოდენობით;

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებილების 0,15 % ოდენობით;

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 12.1, 12.2 და 12.3 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მთლიანი მომსახურების ან მისი ნაწილის გაწევა;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების 13.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ჰიუნდაი Genesis 3.8				
	სათადარიგო ნაწილი /საცხებ საპოხი მასალა/ მომსახურება	ზომის ერთეული	სათადარიგო ნაწილის ერთეულის ფასი ლარი	ერთეულზე მომსახურების ფასი ლარი
1	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლექტი	360	40
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლექტი	255	50
3	ხელის მუხრუჭის ხუნდები	კომპლექტი	225	70
4	წინა ამორტიზატორი	ცალი	3015	80
5	უკანა ამორტიზატორი	ცალი	2210	80
6	წინა ამორტიზატორის სამაგრი ბალიში	ცალი	378	70
7	წინა ამორტიზატორის შტანგა	ცალი	265	55
8	წინა ამორტიზატორის შტანგის მილისა	ცალი	55	60
9	უკანა ამორტიზატორის სამაგრი ბალიში	ცალი	170	70
10	უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი)	ცალი	145	70
11	უკანა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	40	70
12	საჭის ღერძი	ცალი	2598	210
13	საჭის ღერძის შტურვალი	ცალი	585	100
14	საჭის ღერძის დაბოლოება (ნაკანეჩნიკი)	ცალი	90	30
15	საჭის ღერძის წევა (უდარნი ტიაგა)	ცალი	110	35
16	წინა დაკიდების ბერკეტის შტანგა ზედა	ცალი	350	60
17	წინა დაკიდების ბერკეტის შტანგა ქვედა	ცალი	470	70
18	წინა დაკიდების ბერკეტის ზედა შტანგის მილისა	ცალი	58	40
19	წინა დაკიდების ბერკეტის ქვედა შტანგის მილისა	ცალი	80	50
20	ბურთულოვანი სახსარი (შარავოი)	ცალი	85	35
21	უკანა დაკიდების ბერკეტი	ცალი	355	50
22	უკანა დაკიდების ბერკეტის მილისა	ცალი	55	50
23	უკანა დაკიდების გრძივი შტანგა	ცალი	235	45
24	უკანა დაკიდების განივი შტანგა	ცალი	206	45
25	უკანა დაკიდების გრძივი შტანგის მილისა	ცალი	50	50
26	უკანა დაკიდების განივი შტანგის მილისა	ცალი	45	50
27	წინა საყრდენი დისკო	ცალი	490	60
28	უკანა საყრდენი დისკო	ცალი	362	70
29	წინა მორგვი საკისარით	ცალი	624	85
30	უკანა მორგვი საკისარით	ცალი	622	85
31	მორგვის ბოლტი	ცალი	9	50
32	საბურავის სამაგრი ქანჩი	ცალი	12	5

33	გადაცემათა კოლოფის სამაგრი	ცალი	230	90
34	ძრავის ჰიდრავლიკური სამაგრი	ცალი	350	95
35	ძრავის ჰიდრავლიკური სამაგრის კრონშტეინი	ცალი	195	75
36	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა	ცალი	13	25
37	მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა	ცალი	13	20
38	წინა ღერო (სტერჯინი)	ცალი	105	30
39	უკანა ღერო (სტერჯინი)	ცალი	100	25
40	ჰაერის ფილტრი	ცალი	60	უფასო
41	ზეთის ფილტრი	ცალი	50	0
42	საწვავის ფილტრი	ცალი	110	60
43	კონდეციონერის (სალონის) ფილტრი	ცალი	80	10
44	სანთელი	ცალი	55	25
45	საქარე მინის საწმენდი	კომპლექტი	170	15
46	სანისლე ფარის ნათურა	ცალი	85	35
47	შორს მაშუქი ნათურა	ცალი	560	50
48	ახლოს მაშუქი ნათურა	ცალი	75	20
49	გაბარიტის ნათურა	ცალი	15	15
50	უკანა სტოპ ნათურა	ცალი	65	15
51	ძრავის ზეთი სინთეტიკა	ლიტრი	27	0
52	უკანა ხიდის ზეთი	ლიტრი	32	0
53	სამუხრუჭე სითხე	ლიტრი	72	0
54	ანტიფრიზი	ლიტრი	18	0
55	ყინვაგამძლე სითხე	ლიტრი	17	0
56	ფრეონი	100 გრ	13	0
57	ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა	კომპლექტი	0	30
58	უკანა ხიდის ზეთის შეცვლა	კომპლექტი	0	45
59	სამუხრუჭე სითხის შეცვლა	კომპლექტი	0	60
60	ანტიფრიზის შეცვლა	კომპლექტი	0	50
61	ფრეონის ჩატუმბვა	კომპლექტი	0	50
62	საბურავის მოხსნა, დაყენება, დაშლა აწყობა და ბალანსირება	ცალი	0	20
63	განშლა	კომპლექტი	0	80
64	უკანა ამორტიზატორის ბალიშის შეკეთება	ცალი	0	500
	ჯამი		17119	3430
	პრეისკურანტის ჯამური ღირებულება:		20549	

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მუმლაძე

დირექტორი
დავით გიორგობიანი

Legal Entity of Public Law Levan Samkharauli National Forensics Bureau

Digitally signed by Legal Entity of Public Law Levan Samkharauli National Forensics Bureau
Date: 2019.10.22 13:41:34 +04'00'